საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/27

ქ.თბილისი

„ 31 „ მაისი 2017 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გასაგზავნ რიგ დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ

„ მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) ადმინისტრაციის უფროს იოსებ ხარებავას, კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული კომისიიდან გასაგზავნი შემდეგი დოკუმენტაციის ხელმოწერის უფლებამოსილება:
ა) კომისიის სხდომის გამართვის თაობაზე შეტყობინება;
ბ) კომისიის გადაწყვეტილების თანმხლები წერილი;
გ) კომისიასა და კომისიის აპარატში დასაქმებულებზე გასაცემი ცნობები;
დ) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის თაობაზე წერილი;
ე) კომისიის გადაწყვეტილებებისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლები.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის უფროსს (ი. ხარებავა) კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge